შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებაში

კლასგარეშე აქტივობების როლი სტუდენტების აკადემიური მოსწრების ამაღლებაში ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლისას ერაყის უნივერსიტეტებში

(იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის მაგალითი)

იუნუს ილდიზი

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებაში

თბილისი, 2016

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ფარჯანაზე**

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. პროფესორი, დოქტორი ეკატერინე ფიფია
2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მაია ჩქოტუა

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნინო ნიჟარაძე
2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირა დანელია
3. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მაისა მაჰფოუზ

შესავალი

შესასწავლი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

კლასგარეშე აქტივობები (ECA) უაღრესად მნიშვნელოვანია და განსაკუთრებული როლი აქვთ განათლებაში (Holland & Andre, 1987). კვლევის შედეგები აჩვენებენ, რომ კლასგარეშე აქტივობები ისევე მნიშვნელოვანია სოციალური და აკადემიური უნარების ჩამოყალიბებისთვის, როგორც რეგულარული გაკვეთილები (Marsh & Kleitman, 2002). ამას გარდა, ამ საკითხის გაანალიზება ერაყის-ქურთისტანის რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში კიდევ უფრო რთული საკითხია, რადგანაც იგი ახლო მომავალში განვითარებული ქვეყანა უნდა გახდეეს. კლასგარეშე აქტივობები მნიშვნელოვანია ერაყში ინგლისურის, როგორც უცხოური ენის (EFL) სწავლების კონტექსტში. ინგლისური ენის სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერაყში, რადგანაც ქვეყანა ცდილობს ჩამოაყალიბოს სახელმწიფოებრიობა და ამ გზაზე მნიშვნელოვანია ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობა. ცივილიზებულ სამყაროში კი ინგლისური ენა კომუნიკაციის საშუალებაა. შესაბამისად, ერაყმა ურთიერთობა უნდა დაამყაროს დასავლეთთან (ევროპული სახელმწიფოები და შეერთებული შტატები). ამგვარად, ერაყელმა ხალხმა ინგლისურ ენაზე უნდა ისაუბრონ და ინგლისური ენის კარგად შესწავლა ძალზედ მნიშვნელოვანია მათთვის. შთამბეჭდავი შედეგების მისაღებად იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლა ეფექტურად შეასწავლის სტუდენტებს ინგლისურ ენას, თუმცა საჭიროა ინგლისური ენის სწავლების პროფესიონალების მხრიდან მხარდაჭერა, რომლებიც იკვლევენ ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის ახალ გზებს კლასგარეშე აქტივობებით, რაც სწავლების ხელშეწყობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

პრობლემის არსი

ლექტორების დაკვირვებით და გამოცდილებით, სტუდენტები სრულად არ აკეთებენ მიცემულ საშინაო დავალებას ან სკოლაში იწერენ დავალებას მეგობრისგან. ეს ზოგადი პრობლემა უზომოდ აფერხებს სტუდენტების სწავლის ტემპს. გარდა ამისა,

სტუდენტებს, რომლებიც საჯარო სკოლებიდან შემოურთდნენ იშიკ უნივერსიტეტს, უჭირთ ლათინური ანბანით წერა და კითხვა. რადგანაც ისინი არაბულ ანბანს იყენებენ კითხვის და წერის დროს, ისინი მარჯვნიდან მარცხნივ წერენ და კითხულობენ, რაც პრობლემებს უქმნის ინგლისურად წერა-კითხვისას. ბოლოს კი, ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელი სტუდენტები მისი შესწავლის ყველაზე მთავარ პრობლემას პროდუქტულობის კუთხით აწყდებიან, განსაკუთრებით კი, წერის და საუბრის უნარების კუთხით. ერაყის განათლების სისტემის გამო, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისგან მექანიკურ დაზეპირებას გამოცდების ჩასაბარებლად და ეს პრობლემაა ენის შესწავლის კუთხითაც. პრობლემის სწრაფად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ შესასწავლი ენა არა მხოლოდ სასწავლო პროცესში. ამგვარად, კლასგარეშე აქტივობები შეიძლება გამოვიყენოთ სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ენის უნარის ჩამოყალიბებისთვის ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების ხელშემწყობი ფაქტორის დემონსტრირება, კონკრეტული ტიპის კლასგარესე აქტივობების დადგენა, კლასგარეშე აქტივობების არსის სწორად განსაზღვრა, სტუდენტების მოტივაციის მიზნით კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელობის ჩვენება, კლასგარეშე აქტივობებისა და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ურთიერთობის დადგენა. ასევე აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია, თუკი განვსაზღვრავთ, თუ რომელი ტიპის ECA-ს მეშვეობით არის შესაძლებელი კითხვის, წერის, მოსმენის და საუბრის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, ენის სწავლის რომელ ასპექტებზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება, რა აქტივობებით უნდა მოხდეს საკითხის შესწავლა და სამეცნიერო საზოგადოებისთვის, კოლეგებისთვის და სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელ პროგრამაში.

კვლევის აქტუალობა

კვლევაში ყურადღება ეთმობა კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელობას და ხაზგასმულია მათი როლი ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობისთვის ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტების აკადემიურ მიღწევებში. სტუდენტების აკადემიურ მიღწევებსა ან/და აკადემიურ მოსწრებაზე კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელობის ირგვლივ მრავალი კვლევაა ჩატარებული და სტატიაა დაწერილი (Millard, 1930; Posner & Vandell, 1999; McNeal Jr,1998; Mahoney, Larson, Eccles & Lord, 2005) და ისინი განიხილავენ კლასგარეშე აქტივობების, როგორიცაა მაგალითად, ხელოვნებასთან, სპორტთან ან მუსიკასთან დაკავშირებული აქტივობების გავლენა სტუდენტების განათლებასა და აკადემიურ მოსწრებაზე. წარმოდგენილ კვლევაში კლასგარეშე აქტივობები გამოკვლეული იქნება ენის შესწავლაზე ორიენტირებული პერსპექტივით ენის შემსწავლელთა მიერ აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების მიზნით. იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელ პროგრამაზე სტუდენტები სხვადასხვა სასწავლო გამოცდილებით მოდიან და მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები ხშირად მსგავს ეფექტს ვერ ახდენს ყველა სტუდენტზე. ამიტომ შესასწავლი ენის გამოყენებაზე ორიენტირებული კლასგარეშე ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ფორმალური განათლების დროს შესწავლილი მასალის გამეორებას თბილ და ღია 'ატმოსფეროში' თანატოლებთან ერთად და ლექტორების მეთვალყურეობით. სტუდენტებმა შესაძლოა მოსინჯონ ენის სწავლის ახალი მიდგომები ამ აქტივობების შესრულების დროს. ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების განხორციელებისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს სწავლების სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა აუდიოლინგვური მეთოდი, სრული ფიზიკური ჩართულობა, ჩუმი მეთოდი, საზოგადოებაში ენის სწავლა, სუგესტოპედია, ენის კომუნიკაციური სწავლება და ბუნებრივი მეთოდი. მაგალითად, პირდაპიდი მეთოდი გამოიყენება, რათა სტუდენტები მეტად ჩაერთონ შესასწავლი ენის დაუფლებაში. ინგლისურ ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გამოიყენონ ენა და მიაღწიონ შედეგებს ენის სწავლის პროცესში, ხოლო კომუნიკაციური ენის სწავლება აძლიერებს სტუდენტების კომუნიკაციის უნარებს.

სტუდენტები ცდილობენ მიაღწიონ კომუნიკაციურ კომპეტენციას თამაშებით, სიმღერებითა და როლების გათამაშების მეშვეობით.

კვლევის სიახლე

ბევრი კვლევა, შემთხვევის ანალიზი და სტატია არის დაწერილი კლასგარეშე აქტივობების როლზე სტუდენტების აკადემიურ მიღწევაში ზოგადად თუ კონკრეტულად ბევრ საგანში, როგორიცაა მუსიკა, ხელოვნება თუ სპორტი. თუმცა, ცოტაა კვლევა ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა შესახებ ამ კუთხით. ის ფაქტი, რომ არავის შეუსწავლია ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების როლი ენის სწავლებაში ერაყის კონტექსტში, ხდის კვლევას ინოვაციურს. კროსვორდები და გამოცანები, აქტივობა „მოყევით თქვენი სასაცილო ანეგდოტი“, ტესტირება და ანალიზი, პრეზენტაციები მოდულის კითხვების ირგვლივ, გასართობი წასაკითხი და მოყოლის აქტივობა, სიმღერის მოსმენა და ლექსის დასრულება, ენის გასატეხი აქტივობა, როლების გათამაშება, და ესეს წერა ის ძირითადი აქტივობებია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად მოკლე ვადაში კარგი აკადემიური მოსწრების (GPA) შედეგების მისაღწევად.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება

ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების შესახებ არსებული ცოდნა ძალზედ მცირეა გამოქვეყნებულ სტატიებში. ენის მოსამზადებელი სკოლების პროგრამაში შესაძლებელია მრავალი აქტივობის განხორციელება. წარმოდგენილ დისერტაციაში განხილულია ათი ტიპის აქტივობა, რომლებიც რეალურად ეხმარება სტუდენტებს ენის ცოდნის გაუმჯობესებაში. ენის მასწავლებლებმა უნდა განავითარონ საკუთარი კლასგარეშე აქტივობები, დააკვირდნენ მათ გამოყენებას და სრულყონ ისინი.

წარმოდგენილი დისერტაციის მასალები შეიძლება გამოიყენონ ლექტორებმა, რომლებიც ასწავლიან ინგლისურის როგორც უცხოური თუ მეორე ენის პრაქტიკულ თუ თეორიულ კურსს და ამზადებენ სასწავლო პროგრამებს. სხვა დაინტერესებულმა

პირებმა და კურიკულუმის შემქმნელებმა შესაძლებელია გაითვალისწინონ კლასგარეშე აქტივობების როლი სტუდენტების აკადემიური მიღწევისათვის.

კლასგარეშე აქტივობები ხელს შეუწყობს სტუდენტებსა და ლექტორებს, რუტინული სწავლებიდან და სწავლიდან გადაინაცვლონ მეგობრულ გარემოში, რაც სასარგებლო იქნება როგორც სტუდეტებისთვის, ისე ლექტორებისთვის მოტივაციის კუთხით. ენის სწავლებაში ბევრი ხერხის გამოყენებაა შესაძლებელი. სტუდენტებმა შესაძლოა ისწავლონ იმ დავალებების მეშვეობით, რომლებსაც ისინი ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოში ასრულებენ. კლასგარეშე აქტივობებით ენის შემსწავლებლები მეტად მოტივირებულები იქნებიან.

კვლევის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განაპირობებს მკვლევარის მცდელობა შემოიტანოს და დანერგოს სწავლების ისეთი მოდელი, რომელიც შესაბამისობაშია თანამედროვე პედაგოგიკასთან - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. კლასგარეშე აქტივობები, რა თქმა უნდა არ არის ტიპიურად ახალი მიდგომა სწავლა-სწავლების პროცესში, განსაკუთრებით ენის სწავლების კონტექსტში; თუმცაღა, კლასგარეშე აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებას და დიდი მოცულობით სამეცნიერო ლიტერატურა ადასტურებს, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე შესაფერისი მოდელი 21-ე საუკუნის ტიპიურად ახალი სტუდენტისათვის. ერაყის კონტექსტში კი ეს მიდგომა უდაოდ ინოვაციურია და აუცილებელია სწავლა-სწავლების ამ მოდელისათვის თეორიული ბაზისის შექმნა და დასაბუთება. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის მიზანია, შექმნას თეორიული ბაზისი, რომელიც საფუძველს მოუმზადებს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების პროცესს ინგლისური ენის სწავლების კონტექსტში, და განსაკუთრებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დისერტაციაზე მუშაობისას შევისწავლეთ მსოფლიოში არსებული თეორიული ცოდნა კლასგარეშე დავალებების გამოყენების თვალსაზრისით და შევიმუშავეთ ამ აქტივობებზე დაფუძნებული პედაგოგიკის გამოყენების ლოგიკა, რაც ხელს შეუწყობს გააზრებულ სწავლა-სწავლებას და სწავლის პროცესში დაეხმარება ენის შემსწავლელს.

კვლევის ჰიპოთეზა

მკვლევარის პირადი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად, ასევე ლიტერატურის ინტენსიური მიმოხილვის შედეგად მოხდა ინფორმირებული მოლოდინის ფორმულირება, რომლის შესაბამისადაც მკვლევარმა ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა, რომ ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები აუმჯობესებენ სწავლის პროცესს და მოცემული ტიპის აქტივობებში ჩართული სტუდენტები სტატისტიკურად უკეთეს აკადემიურ შედეგებს აღწევენ.

კვლევაში შემოწმებულია შემდეგი კონკრეტული ჰიპოთეზები:

ჰიპოთეზა 1: ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები ზრდიან ენის შემსწავლელის თავდაჯერებულობას და საკუთარი თავის მიმართ ნდობას.

ჰიპოთეზა 2: კლასგარეშე აქტივობებში ჩართულობა წაახალისებს სტუდენტს, ისწავლოს მეტი.

ჰიპოთეზა 3: კლასგარეშე აქტივობებში ჩართული სტუდენტების მიერ ინგლისური ენის პრაქტიკა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ივარჯიშონ ენის ბუნებრივ გარემოში გამოყენებაში და ხელს უწყობს გაბმულად მეტყველების უნარის ფორმირებას.

კვლევის შეკითხვები

მკვლევარის ცოდნასა და გამოცდილებაზე, ასევე წინასწარი კვლევის შედეგად შედგა შემდეგი კვლევის შეკითხვები:

- აქვს თუ არა გავლენა ენაზე ორიენტირებულ კლასგარეშე დავალებებს გავლენა ენის შემსწავლელის აკადემიურ მოსწრებაზე?
- აქვს თუ არა გავლენა ენაზე ორიენტირებულ კლასგარეშე დავალებებს გავლენა ენის შემსწავლელის სწავლის მოტივაციაზე?
- ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების ფორმალურ სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების შედეგად მიიღწევა თუ არა სტუდენტების ფორმალური შეფასების შედეგების გაუმჯობესება?

კვლევის მეთოდები

კვლევაში დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები:

- ✓ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი;
- ✓ ანკეტირება;
- ✓ ინტერვიუ;
- ✓ ექსპერიმენტი;
- ✓ ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი პარადიგმა:

გამოყენებულია SPSS 22.0 პროგრამა სტატისტიკური მონაცემების ანალიზისთვის:

- ✓ პრე-ტესტი (საგანმანათლებლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ცოდნის შედეგების დადგენა)
- ✓ დაუყოვნებელი შუალედური ტესტები (პროგრამის პირველი ეტაპის დასასრულს, მე-8 კვირაში)
- ✓ პოსტ-ტესტი (პროგრამის მეორე ეტაპის დასასრულს, მე-16 კვირაშ)
- ✓ ინტერვიუს და ექპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

თვისობრივი პარადიგმა:

- ✓ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული სტუდენტებისა და ლექტორების ინტერვიუ და ანკეტირება:
- ✓ ანკეტირება (კვლევის დაწყებამდე)
- ✓ ინტერვიუ (კვლევის დასრულების შემდეგ)

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები შეჯერდა, რამაც მკვლევარს მიღებული შედეგების ახსნისა და დასაბუთებული ინტერპრეტაციის გაკეთების საშუალება მისცა.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება ოთხი ნაწილისგან: შესავალი, 4 თავი, დასკვნა და დანართები. ნაშრომში შედის 57 ცხრილი 13 გრაფიკი.

თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა კლასგარეშე აქტივობების როლის შესახებ ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა აკადემიურ მიღწევაში

პირველი თავის შესავალი

ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლება მოითხოვს, რომ შემსწავლელებს განუვიტარდეთ ენობრივი უნარ-ჩვევები: კითხვის, საუბრის, წერისა და მოსმენ. ენის მასწავლებლების მიზანია, რომ სტუდენტებს განუვითარდეთ კომუნიკაციის უნარი როგორც ზეპირი, ისე წერითი ფორმით. მკვლევარის დაკვირვების მიხედვით, ზოგი სტუდენტი ვერ ახერხებს ენობრივი უნარ-ჩვევების სათანადო დონეზე განვითარებას, განსაკუთრებით, საუბრისა და წერის უნარ-ჩვევების. ამიტომ, მკვლევარის აზრით, დიდი ოდენობით საშინაო დავალების მიცემის ნაცლვად უმჯობესია სტუდენტების ყურადღების გამახვილება ინგლისურ ენაზე ორიენტირებულ კლასგარეშე აქტივობებზე ენაში სათანადო კომპეტენციის მიღწევის მიზნით. ამგვარად, სტუდენტები უფრო მეტად შეიგრძნობენ ენას, შეისწავლიან მას ბუნებრივ გარემოში და მიიღებენ სიამოვნებას.

ამ თავში წარმოდგენილი იქნება კურიკულუმი, ECA (კლასგარეშე აქტივობა), EFL (ინგლისური როგორც უცხოური ენა) და ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები.

1.1. ტერმინთა განმარტება

1.1.1. კურიკულუმის განმარტება

კურიკულუმის ასობით განმარტება არსებობს. მაგალითად, ტაილერი განმარტავს მას, როგორც პროგრამას მოქმედებისთვის ან წერილობით დოკუმენტს, რომელიც მოიცავს გრძელვადიან მიზნებისა და ამოცანების მიღწევის სტრატეგიებს (Tyler, 2013). ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად კვლევამ შეისწავლა და გააანალიზა სხვადასხვა მეცნიერის (Wheeler, 1997; Kerr, 1968); Eisner, 1975; Ratcliff, 1997; Bondi & Wiles, 1998; Tyler, 2004) მიერ შემოთავაზებული აქტივობები; ამ მიდგომათა სინთეზის გზით შევიმუშავეთ კურიკულუმის განმარტება და დისერტაციაც ეფუძნება სწორედ ამ განმარტებას, რომლის მიხედვითაც კურიკულუმი არის მიზანმიმართულად დაგეგმილი ურთიერთობა, რომლის ამოცანაც არის ინდივიდუალური სწავლისა და განვითარების უზრუნველყოფა, რათა სწავლის პროცესი იყოს ნათელი და ეფუძნებოდეს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას.

1.1.2. კლასგარეშე აქტივობების განმარტება

ეკლსი, ბარბერი, სტოუნი და ჰანტი (Eccles, Barber, Stone & Hunt, 2003) განსაზრვრავენ კლასგარეშე აქტივობებს როგორც სტუდენტის გამოცდილებასა და ღონისძიებებს, რომლებიც არაა ჩართული საგანმანათლებლო კურიკულუმში. ეს ღონისძიებები განათლების მნიშვნელოვანი ნაწილია. დადასტურებულია, რომ კლასგარეშე აქტივობები ისევე მნიშვნელოვანია უნარების ჩამოყალიბებისთვის, როგორც ჩვეულებრივი გაკვეთილები. მეტიც, ტენჰაუსი (Tenhouse, 2003) ასკვნის, რომ კლასგარეშე აქტივობები კარგი შესაძლებლობაა სტუდენტებისთვის, მიაღწიონ თავიანთი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები. სტუდენტები აღმოაჩენენ და განავითარებენ უნარებს ამ აქტივობების მეშვეობით. კლასგარეშე აქტივობები არა-აკადემიური ღონისძიებებია. ისინი წარმოადგენენ იმ მოდულების ნაწილს, რომლებიც აყალიბებენ სტუდენტების მენტალობას, სოციალურობას და მორალურ ღირებულებებს. სტუდენტების კომუნიკაციური კომპეტენციის და აღქმის ჩამოყალიბება შეიძლება მიღწეულ იქნას სწავლის პროცესის და აქტივობების მეშვეობით.

1.2. ფორმალური კურიკულუმის ჩამოყალიბება

კურიკულუმის იდეა არ არის ახალი, თუმცა მისი აღქმა და თეორიული განმარტება შეიცვალა ათწლეულების განმავლობაში. შესაბამისად, წამოიჭრა მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა. იგი ბერძნული ჩანაწერებიდან მომდინარეობს. კურიკულუმი ლათინურად ნიშნავს რბოლის ტრანსპორტს და სიტყვის ფუძეა 'currere', რაც ნიშნავს სირბილს. კერი განმარტავს კურიკულუმს როგორც „სწავლას, რომელიც შექმნილია და მიმდინარეობს სკოლაში და ინერგება ჯგუფებში თუ ინდივიდუალურად სკოლის შიგნით თუ მის გარეთ (Kerr, 1968, მოხსენიებული კელის ნაშრომში (Kelly, 2004, გვ.7)).

1.3. კლასგარეშე აქტივობების ძირითადი პრინციპები

მასწავლებელთა მიზანია, დაეხმარონ და მოტივაცია მისცენ სტუდენტებს, მიიღონ სოციალური და აკადემიური სარგებელი და მიღწევები ცხოვრებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს გარკვეული პრინციპები. ქვემოთ მოყვანილი პრინციპები ძირითადად ჩამოყალიბებული და შესწავლილია მკვლევარის მიერ.

1. ქმედებების განხორციელება კლასგარეშე აქტივობებში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც სავარაუდოდ მიღებული იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგანაც იგი საშუალებას აძლევს ლექტორს და სტუდენტს, შედგეს კომუნიკაცია. სტუდენტებმა, რომლებიც ჩუმად სხედან გაკვეთილებზე, შეიძლება აიღონ ინიციატივა საკუთარ ხელში და ისაუბრონ კლასგარეშე აქტივობების დროს.

2. აუცილებელია კლასგარეშე აქტივობების ყურადღებით დაგეგმვა და პრაქტიკაში განხორციელება. უმთავრესი პრინციპი და მოთხოვნა, რაც აუცილებლად უნდა დავიცვათ კლასგარეშე აქტივობის დროს არის ის, რომ სტუდენტები თითო ჯერზე უნდა ჩართონ მხოლოდ ერთ აქტივობაში, ხოლო მასწავლებელმა კი მკაცრად უნდა გააკონტროლოს კონტექსტი; თუმცა თავად აქტივობები არის ნებაყოფლობითი და მიზნად ისახავენ სტუდენტების მოტივაციის გაზრდას. ასევე

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მასწავლებელმა ფარულად გააკონტროლოს კონტექსტი და მისი ჩართულობაც მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. მეორე მნიშვნელოვანი პრინციპის მიხედვით მასწავლებელი ასევე უნდა შეეცადოს მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგვმას, თუმცა დაცული უნდა იყოს პირველი პრინციპი - სტუდენტები ცალკეულ შემთხვევაში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ ერთი სახის აქტივობაში.

1.4. კლასგარეშე აქტივობების როლი სტუდენტის ცხოვრებაში

აშშ-ს განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრის (NCES) თანახმად, მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კლასგარეშე აქტივობებში, 15%-ით მეტად ესწრებიან გაკვეთილებს მათთან შედარებით, ვინც არ მონაწილეობენ მათში (O'Brien & Rollefson, 1995). ადამიანები ბევრ რამეს სწავლობენ მოქმედებით და გამოცდილების მიღებით. სტუდენტებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს კლასგარეშე აქტივობებში, შეიძლება რეალური სიტუაციებისთვის უკეთესად მომზადებულები გახდნენ. სტუდენტებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა გაიხსნან მასწავლებლებთან სკოლაში. ენის მასწავლებლებმა კი იციან, რომ გაკვეთილებში მონაწილეობა უკეთ სწავლის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამგვარად, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის შედეგად, სტუდენტები უფრო ეფექტიანად მოქმედებენ რეალურ სიტუაციებში.

კვლევის კითხვები

ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბებულია კვლევის შემდეგი კითხვები:

- ეხმარება თუ არა სტუდენტებს ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები უკეთესი სწავლის შედეგის მიღებაში?
- ეხმარება თუ არა კლასგარეშე აქტივობების მონაწილეებს ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე მუშაობა ენის უნარების გაუმჯობესებაში?
- ღირს თუ არა ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების დანერგვა სკოლის კურიკულუმში?

- გააუმჯობესებს თუ არა ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას?
- უკეთ სწავლობენ თუ არა სტუდენტები ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების მეშვეობით?

დასკვნა

ლიტერატურული წყაროების და მკვლევარების განმარტებების და დეფინიციების მიხედვით, კლასგარეშე აქტივობები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტების აკადემიურ მიღწევაში და მკვლევარი რჩევას აძლევს ინგლისური ენის მასწავლებელს, სტუდენტის ყურადღების გაამახვილოს ენაზე ორიენტირებულ კლასგარეშე აქტივობებზე, მათთვის დიდი ოდენობით დავალებების მიცემის ნაცვლად. ამ თავში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კლასგარესე აქტივობებში მონაწილეობას დიდი როლი აქვს ენის დაუფლებაში და სტუდენტებმა შეისაძლებელია აკადემიური მოსწრებაც გაიუმჯობესონ. თუმცა, არაა იოლი, დაარწმუნო ყველა სტუდენტი, ჩაერთოს კლასგარეშე აქტივობებში გაკვეთილების შემდეგ. ამიტომ, მასწავლებლებსა და კლასგარეშე აქტივობების ორგანიზატორებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, სტუდენტების ყურადღება გაამახვილონ ენის შეთვისებაზე ფორკუსირებულ კლასგარეშე აქტივობებზე.

თავი 2- ინგლისური, როგორც უცხოური ენა (EFL) და კლასგარეშე აქტივობების სისტემა

მეორე თავის შესავალი

ენის შესწავლის ათასობით ხერხი არსებობს. ენის შესწავლის პროცესში ბევრი ასპექტი თამაშობს როლს. მაგალითად, სტუდენტების ცოდნა, ენის შესწავლის უნარი, სწავლის სტილი, მოსწავლის პიროვნული თავისებურებები, დამოკიდებულებები და მოტივაცია, მოსწავლის შეხედულებები, ასაკი, დამოკიდებულებები და მოტივაცია, მოტივაცია საკლასო ოთახში, ასევე სტუდენტების იდენტობა და ეთნიკური

ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია. მათ გავლენა აქვთ ენის შემსწავლელზე, თუმცა თუ როგორ ახდენს მასწავლებელი კომუნიკაციას სტუდენტთან, ეს კიდევ ცალკე განსახილველი საკითხია. ისიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის საგამოცდო კომისია სტუდენტებთან პირის-პირ ინტერვიუს დროს, გამოცდის წინ, უსვამს სტუდენტებს პირადულ კითხვებს, რათა დააკვირდეს, თუ რამდენად შეუძლიათ მათ პასუხი გასცენ და გაიგონ კითხვები. ამ საუბრებზე დაყრდნობით, მკვლევარმა დაადგინა, რომ ზოგი სტუდენტი ენას სწავლობს ბავსვობაში მხოლოდ ტელევიზორის ყურებით. ზოგიერთი სხვა სტუდენტი სწავლობს მას სიმღების მოსმენით და დამახსოვრებით, ხოლო ზოგი კი მუშაობს ლექსიკონთან და იმახსოვრებს ყოველდღიურობაში გამოსაყენებელ სიტყვებს. აქედან გამომდინარე, მკვლევარმა აღმოაჩინა ძირითადი ტენდენცია - სტუდენტები გაცილებით მეტს სწავლობენ დამოუკიდებლად ისეთ კონტექსტში, რომელიც ახლოს არის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და შესაბამისად, უფრო მეტ ლოგიკას ხედავენ კონკრეტული ცოდნის მიღების აუცილებლობაში. ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ გარემო, რომელშიც სტუდენტები ნებაყოფლობით არიან ჩართულები და ხედავენ უცხოური ენის გამოყენების აუცილებლობას, ზრდის სტუდენტების მოტივაციას და ეხმარება მათ ენობრივი უნარ-ჩვევების ფორმირებაში.

2.1. ინგლისურის ენის როლი განათლების ინტერნაციონალიზაციაში

ინტერნაციონალიზაცია მეტად მნიშვნელოვან საკითხად იქცა უმაღლესი განათლების სფეროში. ინგლისური ენა სწრაფად ვრცელდება, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებში მთელს მსოფლიოში. ინგლისური ენის გლობალური მასშტაბით გავლენის გამო შეიქმნა განათლების ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობა. ინგლისური, როგორც უცხოური ენა ქმნის ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის განვითარების აუცილებლობას. უცხოურ ენად ინგლისურ შეისწავლება მსოფლიოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი ქვეყნებში, სადაც იგი ყოველდღიურ კონტექსტში აქტიურად არ გამოიყენება, მაგალითად, საქართველოში, ერაყში, თურქეთში და ა.შ.

ჰარმერის (Harmer, 2007) მტკიცებით, ინგლისურს, როგორც უცხოურ ენას ძირითადად სწავლობენ საკუთარ ქვეყნებში (ანუ ქვეყნებში, სადაც ინგლისური არ არის ყოველდღიური კომუნიკაციის ენა) ან ენის შემსწავლელები მიემგზავრებიან ინგლისურენოვან ქვეყნებში (მაგ. ბრიტანეთი, აშშ, კანადა და ა.შ.) და გაივლიან მოკლევადიან ენის კურსებს. ყოველ წელს ინგლისური ენის სწავლებისადმი მიძღვნილი შეხვედრები უკვე დამახასიათებელია მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის. ინგლისური ისწავლება ისეთ ქვეყნებში, სადაც იგი არ არის მშობლიური ენა და არ გააჩნია სპეციალური სტატუსი, მაგალითად, იაპონია, საფრანგეთი, თურქეთი, შვედეთი, საქართველო, ერაქი და მრავალი სხვა. შესაბამისად, ინგლისური, როგორც უცხოური ენა ტექნიკურ ტერმინადაც მოიაზრება. ინგლისური ენის სწავლება ინგლისურენოვან ქვეყნებში ორი მიმართულებით ხორციელდება : პირველი, მას ასწავლიან ხალხს, რომელთაც სურთ ამ ქვეყნებში ცხოვრება, და მეორე, ინგლისური იმ ხალხისათვის, რომელთაც იგი პირადი პრაქტიკული დანიშნულებისათვის ან სიამოვნებისათვის სჭირდებათ. პირველი ჯგუფისათვის ორგანიზებულია გრძელვადიანი კურსები, ხოლო მეორე ტიპის ენის შემსწვლელთათვის განკუთვნილია მოკლევადიანი ინტენსიური კურსები (Crystal, 1992).

2.2. ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები

მოცემული ქვეთავი განიხილავს კლასგარეშე აქტივობებს, როგორც ენის სწავლებისა და სწავლის პროცესის ნაწილს და წარმოადგენს დეტალურ ანაზის, თუ რა დადებითი და შესაძლო უარყოფითი ასპექტები არსებობდეს; ამ ასპექტების გააზრება აუცილებელია, რათა მასწავლებლებმა მოახერხონ, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება ამ ტიპის აქტივობებთან მიმართებაში - მათი მიზნები და ამოცანები და შესაძლო სწავლის შედეგები.

2.2.1. კლასგარეშე აქტივობების გავლენა სტუდენტების წარმატებაზე ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში

კლასგარეშე აქტივობები კარგი საშუალებაა მათთვის, რომელთა გონება და გული დატვირთულია საშინაო დავალების და პასუხისმგებლობის გამო რუტინული სწავლით და სტრესით არის დაკავებული (Taylor & Chiogioji, 1988).

კლასგარეშე აქტივობების სარგებელი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. კლასგარეშე აქტივობები ახალისებს სტუდენტებს სიმღერების, თამაშის, მოყოლის, საუბრის და თხრობის გზით ნებისმიერი საგნის სწავლისას და სოციალური ცხოვრების დროს.

2. სპორტში, თამაშებში, დებატებში, მუსიკაში, წარმოდგენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა მოტივაციის ელემენტებია, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტებს, მიაღწიონ სწავლის მიზნებს.

3. დებატები კარგი კლასგარეშე აქტივობაა, რადგან იგი სტუდენტებს აძლევს საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას.

4. სპორტი სტუდენტებს ეხმარება, იყვნენ ჯანმრთელები და ენერგიულები. კარგი ფიზიკური მდგომარეობა ხელს უწყობს გონებრივ აქტივობას.

5. სტუდენტები სწავლობენ მოთმინებას და ისინი აცნობიერებენ ჯანსაღი კონკურენციის აუცილებლობას.

6. კლასგარეშე აქტივობები სტუდენტებს ეხმარება მოამზადონ და ჩაერთონ აქტივობებში, განივითარონ საუბრისა და წერის უნარები; ისინი ასევე სწავლობენ თანამშრომლობას და კოორდინირებას სხვადასხვა სიტუაციაში; ასევე მათ უვითარდებათ ლიდერების თვისებები, რაც, რა თქმა უნდა არ არის ენობრივი უნარი, მაგრამ ენის შემსწავლელს ენის გამოყენებისაკენ წაახალისებს.

7. სტუდენტები ისწავლიან, რომ ცხოვრება არ არის მხოლოდ მეცადინეობა და გამოცდებში ქულების მიღება.

8. კლასგარეშე აქტივობები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაუმკლავდნენ სხვადასხვა სიტუაციას, ჩაერთონ ნებისმიერ სოციალურ, კულტურულ თუ აკადემიურ აქტივობაში და კომუნიკაცია დაამყარონ ხალხთან არა მხოლოდ სასწავლო გარემოში, არამედ სასწავლო კონტექსტს მიღმა.

9. სტუდენტები შეძლებენ სხვათა ემოციებისა და ღირებულებების გაგება-გააზრებას.

10. სტუდენტები მიეჩვევიან გადაწყვეტილებების მიღებას.

11. სტუდენტებს გაუჩნდებათ კონკრეტულ ჯგუფთან თუ თემთან კავშირის შეგრძნება.

12. კლასგარეშე აქტივობები ხელს უწყობენ სწავლის მოტივაციის ზრდას.

13. კლასგარეშე აქტივობები ეხმარება სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ ფსიქოლოგიური, ეთიკური, სოციალური, ესთეტიური, კულტურული და აკადემიური ღირებულებები.

კლასგარეშე აქტივობები ამაღლეს სტუდენტების მოტივაციას და აყალიბებს დადებით კავშირს სტუდენტსა და სასწავლო დაწესებულებას შორის. დადებითი განწყობის პირობებში კი სტუდენტები უკეთ იაზრებენ ცოდნის აუცილებლობას, რასაც შედეგად მოყვება ეფექტური სწავლა. კლასგარეშე აქტივობები ეხმარება სტუდენტებს კარგი ურთიერთობა დაამყარონ სხვებთან; ამდენად, როდესაც სტუდენტები ჩართული არინ ამ ტიპის აქტივობებში, სასწავლო გარემოს ეფექტურად მართვის შესაძლებლობაც იზრდება; იქმნება პრაქტიკისათვის ხელსაყრელი გარემო, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტების თავდაჯერების ხარისხის ზრდას (Eccles, 2004). სტუდენტებს უკეთესი შესაძლებლობა ეძლევათ, რომ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები დადებით გარემოში.

თავი 3: კვლევის კონტექსტის მეთოდოლოგია და მეთოდები

მესამე თავის შესავალი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია იშიკ უნივერსიტეტი და მისი მოსამზადებელი ენათა სკოლა, როგორც მისი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, რადგან დისერტაციაში წარმოდგენილი კვლევა მანდ განხორციელდა. ასევე თავში არწერილია კვლევის მეთოდები და ინფორმაცია კვლევაში მონაწილე პირების შესახებ.

3.1. კვლევის კონტექსტი - იშიკ უნივერსიტეტი ქურთისტანში

3.1.1. უნივერსიტეტის პროფილი

იშიკ უნივერსიტეტი ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტია, რომელიც სანდო ხარისხის განათლებას აწვდის ძირითადად ერაყელ სტუდენტებს რვა წლის განმავლობაში. ნეჩირვან ბარზანი, ერაყის ქურთისტანის რეგიონალური მთავრობის პრემიერ მინისტრი, პარლამენტარები, საჯარო მოხელეები, თურქეთის კონსული მოსულში და თურქეთის პარლამენტის წევრები მიწვეულები იყვნენ უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიაზე 2008 წელს ქ. ერბილში და დასაბამი ჩაუყარეს საუნივერსიტეტო განათლებას აღნიშნულ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ცოდნის მიწოდებას ყველასთვის, რწმენის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური აზრების თუ სოციალური სტატუსის მიუხედავად. იშიკ უნივერსიტეტი კერძო უნივერსიტეტია, რომელიც აშენდა და ეკუთვნის ფეზალარ საგანმანათლებლო კომპანიას. უნივერსიტეტის მიზანია, ახალი თაობისთვის განათლების უმაღლესი სტანდარტის შეთავაზება, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მსოფლიოს განათლებული მოქალაქეები გახდებიან. იშიკ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობა საერთაშორისო წარმომავლობის არის და ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ეროვნებას წარმოადგენს.

იშიკ უნივერსიტეტი ერაყის ქურთისტანში ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი მიზანია თეორიული და პრაქტიკული განათლების, კვლევისა

და განვითარების მიწოდება. ამ მიზნით, იგი თანამშრომლობს რეგიონალურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტი სტუდეტებს აწვდის საერთაშორისო სტარდარტების შესაბამის ღრმა და ყოვლისმომცველ განათლებას. იგი ამკვიდრებს ადგილობრივ და საყოველთაო ღირებულებებს. იშიკ უნივერსიტეტი ცდილობს, შეასრულოს სტუდენტსა და მსოფლიოს შორის განათლების ჯაჭვში მნიშვნელოვანი როლი. იშიკ უნივერსიტეტის სასწავლო კურსები ინგლისურად ისწავლება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა სათანადოდ დაეუფლონ ინგლისურ ენას. სტუდენტები ინფორმირებული არიან, რომ ინგლისური ენის მაღალ დონეზე შესწავლა ხელს შეუწყობთ მათ მიერ სასწავლო კურსების წარმატებით შესწავლას. იშიკ უნივერსიტეტში ექვსი ფაკულტეტი და ათი დეპარტამენტია. 2014 წლის დეკემბერში, სულაიმაინში დაარსდა ახალი ფილიალი სამი ფაკულტეტით.

3.1.2. მოსწავლეთა წინარე გამოცდილება

იშიკ უნივერსიტეტში ჩაბარებამდე სტუდენტების უმრავლესობა საჯარო სკოლებში დადიოდნენ და მათ ინგლისურის გაკვეთილი კვირაში ორჯერ უტარდებოდათ, მეხუთე კლასიდან მეთორმეტე კლასამდე. ზოგიერთ სტუდენტი კერძო სკოლებში სწავლობდა ერთი, იმავე კურიკულუმით, რაც სახელმწიფო სკოლაში, ხოლო ზოგიერტები დადიოდნენ ენის კერძო კურსებზე სკოლასთან სწავლის პარალელურად, რათა არ დაეკარგათ ერთი წელი მოსამზადებელი სკოლის პროგრამაზე. თუმცა, წელიწადის დასაწყისში მხოლოდ რამოდენიმე სტუდენტი იყო, რომელთაც შეეძლოთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა სერიოზული შეცდომის დაშვების გარეშე. უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე სტუდენტები გადიოდნენ ინგლისური ენის ძირითად გრამატიკულ სტრუქტურებს და მათ ნასწავლი ჰქონდათ წარსული, ახლანდელი და მომავალი დროები. თუმცა მათ არ ურარდებოდათ წერის და საუბრის აქტივობები, ყველა წესი, რომელიც მათ შეისწავლეს სკოლაში, მათ დავიწყებული ჰქონდათ. სტუდენტებმა დაიწყეს ენის შესწავლა ეტაპობრივად საწყისი ეტაპიდან, მათ დროულად უნდა შეესრულებინათ წიგნის სავარჯიშოები და გამოეყენებინათ სპეციალური წასაკითხი მასალები დამწყებ დონეზე. ამის შემდეგ,

მესამე კვირიდან, სტუდენტებმა დაიწყეს ელემენტარული დონის სახელმძღვანელო. სტუდენტებმა დაიწყეს ახალი სტრუქტურების შესწავლა, აითვისეს ძირითადი გრამატიკული ფორმები და სტრუქტურენი ოთხ კვირაში ინტენსიურ რეჟიმში და მათ გადაეცათ სამუშაო ფურცლები საშინაო დავალების შესასრულებლად. სულაიმანში, ეს სამუშაო ფურცლები სტუდენტებს გაკვეთილების შემდეგ გადაეცათ და ლექტორი სავარჯიშოების „გასარებს“ მატი შესრულების შემდეგ აძლევდა. აშკარა იყო, რომ სტუდენტებს შეზღუდული ლექსიკური მარაგი ჰჰქონდათ, განსაკუთრებით კი, სალაპარაკო ენაში. აშკარაა, რომ ამ დონის ენობრივი უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებს ესაჭიროებათ მეტი კითხვა, რათა აეთვისებინათ ახალი ლექსიკა და სჭირდებათ წერის გამოცდილება, რათა შეძლონ, დაწერონ სწორად, პუნქტუაციის და მართლწერის შეცდომების გარეშე. სამწუხაროდ, სტუდენტთა რაოდენობა აუდიტორიასი ოთახში, სტუდენტების ხასიათი, მათი განათლების დონე და მასწავლებლის და სტუდენტების ურთიერთობა არ იძლევა ენაზე ორიენტირებული აქტივობების რეგულარულად ჩატარების შესაძლებლობას.

3.2. იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლა

3.2.1. ინგლისურის მოსამზადებელი სკოლის სტუდენტები

იშიკ უნივერსიტეტის ინგლისური ენის მოსამზადებელი სკოლა სტუდენტებს ლინგვისტურ ცოდნას აძლევს. ამგვარად, მათ თავი უნდა გაართვან მათ მიერ შერჩეულ ფაკულტეტებზე სწავლას, რომელიც ინგლისურად მიმდინარეობს, კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მიერ, ტექნიკური დანადგარების და სწავლების ინტერაქტიული მასალების და სისტემების გამოყენებით.

სტუდენტები მიიღებიან უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომლებიც ტარდება ერაყის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ. იშიკ უნივერსიტეტში განათლება ყველა დეპარტამენტში, იურიდიული ფაკულტეტის გარდა, ინგლისურად მიმდინარეობს. უნივერსიტეტში მიღების შემდეგ სტუდენტები გადიან ინგლისური ენის უნარ-ჩვევების დონის განმსაზღვრელ გამოცდას, რომელიც უნივერსიტეტის მოსამზადებეი სკოლის მიერ ტარდება. თუკი სტუდენტი კარგ ქულას მიიღებს ამ გამოცდაში, ისინი დაუყოვნებლივ იწყებენ ფაკულტეტზე სწავლას.

თუკი ვერ მიიღებენ სათანადო ქულას, კურსის დაწყებამდე, სტუდენტები აბარებენ ოქსფორის გამომცემლობის დონის განმსაზრვრელ ონლაინ ტესტს. გამოცდა აჩვენებს სტუდენტების ენის ფლობის დონეს და მის ქულაზე დაყრდნობით, ისინი გადამისამართებული არიან სხვადასხვა დონის ჯგუფში. ისინი მოსამზადებელ სკოლაში სწავლას აგრძელებენ, სანამ არ იქნება მიღებული სათანადო ქულა ფაკულტეტზე სწავლის დაწყებისათვის. დაწყებითი დონის მთავარი მიზანია, სტუდენტებმა შეისწავლონ მარტივი სიტყვები და სტრუქტურები. რაც უფრო მაღალია დონე, მით უფრო რთულდება სასწავლო მასალა.

იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის მიზანია, გაამდიდროს სტუდენტების ლექსიკა, გააუმჯობესოს მათი გრამატიკული უნარ-ჩვევები, კითხვის უნარი, რათა მათ შეზლონ სასწავლო დავალებების შესრულება დაგანახორციელონ დამოუკიდებელი სწავლა. ასევე უნივერსიტეტი გეგმავს იმ პირველკურსელთა ცოდნის გაუმჯობესებას ინგლისურ ენაში, რომლებიც მიღებული არიან ბაკალავრიატსა თუ მაგისტრატურაზე, რათა მათ შეძლონ წაკითხულის გაგება, მოსმენა, ლექციის ჩანაწერების წარმოება და საკუთარი აზრის ზეპირად თუ წერილობით გამოხატვა.

3.3. კვლევის მეთოდები

დისერტაციის შესავალში მოყვანილი ჰიპოთეზის ირგვლივ სანდო ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჩატარდა ექსპერიმენტი, სადაც ექსპერიმენტის პერიოდის განმავლობაში ექსპერიმენტულ ჯგუფში განხორციელდა ენაზე ორიენტირებული სხვადასხვა სახის კლასგარეშე აქტივობები, ხოლო სტუდენტებს შედარებით მწირი მოცულობის საშინაო დავალება ეძლეოდათ; საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები კი არ იყვნენ ჩართულები ენაზე ორიენტირებულ კლასგარეშე აქტივობებში, სამაგიეროდ, ისინი დიდი მოცულობის საშინაო დავალებელს ასრულებდნენ. სხვა მხრივ, ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფი მაქსიმალურად ერთმანეთთან მიახლოვებულ პირობებში სწავლობდნენ (ისინი ერთი სილაბუსით სწავლობდნენ, ერთსა და იგივე სასწავლო მასალებს იყენებდნენ, ერთნაირ დროს უტმობდნენ ენის სესწავლას და მათ ენობრივი უნარ-ვბებების ერთნაირი დონე ახასიათებდათ).

იმისათვის რომ პასუხი გავცეთ აუმჯობესებს თუ არა კურიკულუმთან ინტეგრირებული კლასგარეშე აქტივობები სტუდენტის ენის ცოდნას და აქვთ თუ არა იმ სტუდენტებს, რომლებიც ენაზე ორიენტირებულ კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობენ, უკეთესი აკადემიური მოსწრება, გამოყენებული იყო რაოდენობითი და თვისობრივი კვლევის მეთოდები. საერთო ჯამში ჩატარდა ერთი პრეტესტი, ერთი შუალედური და ერთი პოსტ-ტესტი. ორივე ჯგუფის ენობრივი უნარ-ჩვევების დონეების ცვლილებების განსასაზღვრელად გამოყენებულ იქნა პრე-ტესტი, ტესტი ექსპერიმენტის პროცესში და პოსტ-ტესტი.

3.3.1. რაოდენობრივი მეთოდი

მკვლევარმა შეაგროვა სტატისტიკური მონაცემები ექსპერიმენტალური და საკონტროლო ჯგუფიდან და ჩაატარა მატი სტატისტიკური ანალიზი SPSS 22.0 პროგრამის მეშვეობით. რაოდენობითი მონაცემები ასევე შეგროვებულ იქნა სტუდენტებისა და ლექტორების კითხვარზე პასუხების გასაანილიზებლად.

3.3.2. თვისებრივი მეთოდები

თვისობრივი მონაცემები მოპოვებული იყო ინტერვიუს შეკითხვებზე სტუდენტებისა და ლექტორების პასუხების მეშვეობით. მე-4 თავში გაანალიზებულია ღია ტიპის შეკითხვებზე სტუდენტების და ლექტორების პასუხები, შეგროვებული ინტერვიუირების გზით.

თავი 4: მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები

შესავალი

კვლევის ფარგლებში ჩატარდა კვაზი-ექსპერიმენტი, რადგან მკვლევარს არ ჰქონდა შესაძლებლობა თავად შეედგინა კვლევისათვის აუცილებელი საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფი. კვლევაში ჩაერთო ორი ჯგუფი და მათი შერჩევის კრიტერიუმად ავიღეთ ინგლისური ენის ინტენსიურ პროგრამაში ჩასარიცხად მათ მიერ დაწერილი ტესტით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია (A1). ერთი ჯგუფი შეიქმნა ერბილის ფილიალში (შემდგომში, საკონტროლო ჯგუფი, 19 სტუდენტი),

ხოლო მეორე კი - სულაიმანის ფილიალში (შემდგომში, ექსპერიმენტული ჯგუფი, 15 სტუდენტი). ისინი ნებაყოფლობით ჩაერთვნენ ექსპერიმენტში, რომელიც 16 კვირა გაგრძელდა. სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია და ცოდნისა და უნარების განვითარება ორივე ჯგუფში მოწმდებოდა პრე-ტესტის, შუალედური ტესტისა და პოსტ-ტესტის მეშვეობით. ტესტების ფორმატი, მოცულობა და სირთულე იდენტური იყო.

კვლევის მსვლელობისას Google პლატფორმის გამოყენებითმომზადდა ონლაინ ელექტრონული კითხვარი სტუდენტებისა და ლექტორებისათვის. კვლევის მონაწილეებმა პასუხი გასცეს 5-ერთეულიან ლიკერტის შკალის დებულებებს. კითხვარში შევიდა 14 შეკითხვა-დებულება, რომელთა მიზანი იყო, შეესწავლა სტუდენტებისა და ლექტორების კურსით კმაყოფილების დონე, რა დამოკიდებულება გააჩნდათ მათ კურსის შინაარსთან მიმართებაში, რას ფიქრობდნენ ისინი სწავლების მეთოდებსა და სწავლლის შესაძლებლობებზე.

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ლექტორებთან და სტუდენტებთან ჩატარდა ინტერვიუ. ისინი შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით. თითოეული ინტერვიუ გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთი; მკვლევარმა ისინი ჩაიწერა და ჩანაწერის საფუძველზე მომზადდა ტრანსკრიპტი. ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ მოიცავდა წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს, რამაც უზრუნველყო მოპოვებული მონაცემების სტანდარტიზაცია; თუმცაღა, მოცემულმა მეთოდმა ინტერვიუს მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა რესპონდენტის ცოდნის, გამოცდილების, დამოკიდებულებისა და რწმენის შესაბამისად დამატებით განეხილათ მათთვის საინტერესო საკითხები. ლექტორებთან ჩატარებული ინტერვიუს მიზანი იყო, ეჩვენებინა მათი დამოკიდებულება კლასგარეშე აქტივობების მიმართ, წარმოეჩინა მათი ცოდნა სწავლების ამ ტიპის შესახებ და რამდენად მზად არიან ისინი, მოახდინონ ამ მეთოდოლოგიის საკუთარ პრაქტიკაში ინტეგრირება. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუ კი მიზნად ისახავდა, წარმოეჩინა სტუდენტების პიროვნული დამოკიდებულება ენის სწავლის მიმართ და დაედგინა მათთვის მისაღები და საყვარელი სწავლა-სწავლების მოდელი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას კვლევის დიზაინის შესახებ.

ცხრილი 1: კვლევის დიზაინი

					საერთო რაოდენობა
შემთხვევის ანალიზში მონაწილე სტუდენტთა რიცხვი (A1 დონე - ენობრივი კომპეტენცია)	საკონტროლო ჯგუფი	19	ექსპერიმენტული ჯგუფი	15	34
გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა რიცხვი	საკონტროლო ჯგუფი	19	ექსპერიმენტული ჯგუფი	15	34
ინტერვიუში მონაწილე სტუდენტთა რიცხვი	საკონტროლო ჯგუფი	0	ექსპერიმენტული ჯგუფი	6	6
გამოკითხვაში მონაწილე ლექტორთა რიცხვი	სხვა დაწესებულებებიდან	3	იშიკის უნივერსიტეტი	14	17
ინტერვიუში მონაწილე ლექტორთა რიცხვი	სხვა დაწესებულებებიდან	2	იშიკის უნივერსიტეტი	4	6

4.1. ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზი

სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის დონის, ჯგუფებს შორის დონეთა სხვაობის, ეტაპების მიხედვით თითოეული ჯგუფის შედეგებს შორის განსხვავების ანალიზისათვის გამოვიყენეთ SPSS 22.0 პროგრამა და დავიანგარიშეთ საშუალო შედეგები, სტანდარტული გადახრა და სტანდარტული შეცდომის საშუალო. მოცემული პროგრამა ასევე გამოვიყენეთ კითხვარის შედეგების ანალიზისას. ხოლო ინტერვიუს შემთხვევაში კი მომზადდა ტრანსკრიპციები და მათზე დაყრდნობით გავაანალიზეთ ინტერვიუს შინაარსი.

4.1.1. სტუდენტების პრე-ტესტის, შუალედური ტესტის და პოსტ- ტესტის შედეგების საშუალო ქულის ინტერპრეტაცია იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელ სკოლაში

ცხრილი 2: საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების სტატისტიკა პრე-ტესტის მიხედვით.

ცხრილი 4.3: საკონტროლო (ერბილი) და ექსპერიმენტალური (სულეიმანი) ჯგუფების სტატისტიკა პრე-ტესტის შედეგებზე დაყრდნობით					
	ჯგუფი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული საშუალო შეცდომა
პრეტესტის შედეგები	საკონტროლო	19	36.8421	11.01142	2.52619
	ექსპერიმენტული	15	36.2667	8.52280	2.20058

ცხრილ # 2-ში წარმოდგენილი შედეგები გვიჩვენებს, რომ საკონტროლო ჯგუფის მიღწევის ტესტის საშუალო შედეგები არის 36.8421 ქულa 100-დან, ხოლო ექსპერიმენტული ჯგუფის კი - 36.2667 ქულა. ორი ჯგუფის დამოუკიდებელი ნიმუშების პტე-ტესტის შედეგების T-ტესტის მიხედვით, ორ ჯგუფს შორის მცირედი (სტატისტიკურად უმნიშვნელო) განსხვავებაა ცხრილი # 2-ის თანახმად.

ცხრილი 3: T-ტესტის საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების პრე-ტესტში საშუალო ქულების შედარებისთვის

		ლევინის ტესტი ვარიანტების შედარებისთვის		T-ტესტი საშუალოების შედარებისთვის						
		F	მნიშვნ.	t	df	სიგნიფიკანტ. (2-tailed)	საშუალო სხვაობა	სტანდარტული შეცდომის ცდომილება	განსხვავების 95%-იანი დარწმუნებულობის ინტერვალი	
									დაბალი	მაღალი
პრეტესტის შედეგები	სავარაუდო თანაბარი სხვაობა	0.105	0.747	0.167	32	0.869	0.57544	3.45367	-6.45945	7.6,033

	არა ნავარაუ დევი თანაბარი სხვაობის			0.172	31.995	0.865	0.57544	3.35025	-6.24884	7.39972

შეიძლება აღინიშნოს, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნისვნელოვანი განსხვავება ჯგუფების ენობრივი უნარ-ჩვევების დონეებს შორის. ორი ჯგუფის საშუალო შედეგებს შორის სხვაობა არის 0.58. ეს არ არის დიდი განსხვავება. სტანდარტული გადახრა ოდნავ მეტია ექსპერიმენტულ ჯგუფში (11.01) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (8.52) პრეტესტში. ცნობილია, რომ, თუკი სტანდარტული გადახდა იზრდება ჯგუფში, ინდივიდუალური მოსწავლეების მიერ მიღებული ქულების სხვაობა ასევე იზრდება და წინააღმდეგ შემთხვევაში კი სტანდარტული გადახრა იკლებს. ამიტომ კვლევასი უნდა დავაკვირდეთ, როგორ შეიცვლება სტანდარტული გადახრა. სტატისტიკური სიგნიფიკანტურობა 0.869 მეტია ვიდრე $P \leq 0.05$, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნისვნელოვანი განსხვავება ორი ჯგუფის პრე-ტესტის შედეგებს შორის.

გრაფიკი 1 აჩვენებს ორივე ჯგუფის მიერ პრე-ტესტში, შუალედური და პოსტ-ტესტში მიღებული საშუალო შედეგებს და ჩვენ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ეს შედეგები უკეთესია ექსპერიმენტულ ჯგუფში (36.84), ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (36.27). ეს კი ადასტურებს კვლევის ფარგლებში ფორმულირებულ კვლევის ჰიპოთეზას, რადგან ჯგუფმა, სადაც გამოვიყენეთ კლასგარეშე ენობრივი აქტივობები უკეთესი შედეგები აჩვენა იმ ჯგუფთან შედარებით, სადაც არ გამოგვიყენებია მოცემული მიდგომა.

გრაფიკი 1: საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის ზოგადი აკადემური მოსწრების შედეგები 16 კვირის განმავლობაში



ცხრილი 4 აჩვენებს პოსტ-ტესტის შედეგებს.

ცხრილი 4: საკონტროლო და ექსპერიმენტალური ჯგუფების სტატისტიკა პოსტ-ტესტის შედეგებზე დაყრდნობით

	ჯგუფი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული საშუალო შეცდომა
პოსტ-ტესტი	საკონტროლო	19	74.5263	6.20366	1.42322
	ექსპერიმენტული	15	86.7333	9.96757	2.57361

ცხრილი 4 აჩვენებს, რომ საკონტროლო ჯგუფის პოსტ-ტესტის საშუალო შედეგები არის 100-დან 74.52 ქულა, ექსპერიმენტული ჯგუფისათვის კი - 86.73. შედეგები აჩვენებს, რომ თუმცა ორივე ჯგუფმა მიაღწია გარკვეულ წარმატებას, სტუდენტების პროგრესი შენელდა; თუმცა, ეს მდგომარეობა შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ სტუდენტებმა ამ დროისათვის უკვე საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს. შუალედურ ტესტთან შედარებით საკონტროლო ჯგუფში ენობრივი უნარების დონის მიხედვით ზრდამ საშუალოდ შეადგინა 2.85 ქულა, ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფში კი - 3.40, რაც რა თქმა უნდა უკეთესი შედეგია. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებთან შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენეს. ეს შედეგი შუალედურ ქულებთან შედარებით საკონტროლო ჯგუფისათვის არის ზრდა

71.68 ქულიდან 74.52 ქულამდე, ხოლო ექსპერიმენტული ჯგუფისათვის კი - 83.33 ქულიდან 86.73 ქულამდე.

4.2. სტუდენტების და მასწავლებლების კვლევის მონაცემები

4.2.1. სტუდენტების კვლევის ინტერპრეტაცია კლასგარეშე აქტივობებზე დაყრდნობით

კითხვარის თოთხმეტი შეკითხვა-დებულება დაესვა 34 მოსამზადებელი ეტაპის სტუდენტს, რომელთაგან 17 ბიჭი, ხოლო 17 გოგონა იყო. შედეგები ნაჩვენებია შემდეგნაირად:

ცხრილი 5-შეკითხვა 1: იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელ სკოლას განსაკუთრებით ინტენსიური კურიკულუმი აქვს

შეკითხვა #1. იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელ სკოლას განსაკუთრებით ინტენსიური კურიკულუმი ჰქონდა					
		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
ვალიდური	ძლიერ ვეთანხმები	12	35.3	35.3	35.3
	ვეთანხმები	10	29.4	29.4	64.7
	ნეიტრალური	6	17.6	17.6	82.4
	არ ვეთანხმები	6	17.6	17.6	100.0
	ჯამი	34	100.0	100.0	

ცხრილი 5-ში, რესპოდენტების 64.7 პროცენტი ეთანხმება, რომ მოსამზადებელ სკოლას განსაკუთრებით ინტენსიური კურიკულუმი აქვს. ინტენსიური პროგრამა საკმაოდ დიდი ტვირთია სტუდენტებისათვის; თუმცაღა, კლასგარეშე აქტივობების ინტეგრირება ხელს უწყობს სტუდენტების აღქმის ფორმირებას, რომ სწავლა შესაძლოა სახალისო იყოს. ეს დამოკიდებულება კი ეხმარება სტუდენტებს მოტივაციის ამაღლებაში, რის შედეგადაც, რთული რეჟიმის მიუხედავად, ისინი მეტად კონცენტრირებული არიან სასწავლო პროცესზე.

ცხრილი 6: იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის ინგლისური ენის კურსის კურიკულუმი შექმნილია სტუდენტების საჭიროების მიხედვით

შეკითხვა # 2.: იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის ინგლისური ენის კურსის კურიკულუმი შექმნილია სტუდენტების საჭიროების მიხედვით.					
		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
ვალიდური	ძლიერ ვეთანხმები	4	23.5	23.5	23.5
	ვეთანხმები	10	58.8	58.8	82.4
	ნეიტრალური	1	5.9	5.9	88.2
	არ ვეთანხმები	2	11.8	11.8	100.0
	ჯამი	17	100.0	100.0	

ცხრილი 6-ის მიხედვით, რესპოდენტების 82.4 პროცენტი მიიჩნევს, რომ იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის ინგლისური ენის კურიკულუმი შექმნილია სტუდენტების საჭიროებების მიხედვით. პროგრამის ადმინისტრაციის მიერ ეს ფაქტორი პროგრამის დადებით ასპექტად აღიქმება; თუმცა მხოლოდ ადმინისტრატორებისა და მასწავლებლების დამოკიდებულება არ არის საკმარისი; საყურადღებოა, რომ სტუდენტებმაც იგივე დამოკიდებულება აჩვენეს და ფიქრობენ, რომ კურიკულუმი სტუდენტების ინტერესებსა და საჭიროებებზე არის ორიენტირებული. ეს კი თანამედროვე სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რადგან სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ზრდას და მათ სასწავლო პროცესში გააზრებულ ჩართულობას, რის შედეგადაც გაუმჯობესდა სწავლის შედეგები და აკადემიური მოსწრება.

4.3. დაკვირვებისა და ინტერვიუს შედეგად მიღებული მონაცემები

ზოგადად მიღებულია ენის შემსწავლელს ინგლისური 24 კვირაში ასწავლო. მიგვაჩნია, რომ სტუდენტებმა უნდა გაიარონ 50 კვირიანი კურსი ინგლისურში თუკი გვინდა, რომ მათ მაღალ დონეს მიაღწიონ. ქურთისტანში არაა მოსამზადებელი სკოლის პროგრამა უნივერსიტეტის დონეზე, გარდა გარდამავალი მოსამზადებელი სკოლებისა, სადაც სტუდენტები, რომლებიც ჩაიჭრენ სახელმწიფო გამოცდაზე ერთ ან ორ საგანში, იღებენ მოსამზადებელ კურსებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტები, სადაც საგნები ინგლისურად ისწავლება ოთხი წლის განმავლობაში გრძელდება და სტუდენტები ინგლისური ენას საშუალო დონეზე (B1) სწავლობენ. ეს არაა მისაღები და ჯანსაღი. სტუდენტებს ვერ ახერხებენ ენის სათანადოდ დაუფლებას. მაგრამ იშიკის უნივერსიტეტის სულეიმანის მოსამზადებელი სკოლის სტუდენტების შედეგები მნიშვნელოვანია მკვლევარისთვის, რადგან ეს შედეგი გამომდინარეობს სტუდენტების კლასგარეშე აქტივობებით დაინტერესებისადან და ლექტორების მუდმივი მონდომებით.

ინგლისურის ჯგუფის შემთხვევაში, სტუდენტების რაოდენობა ასევე მნიშვნელოვანია აქტივობების განმავლობაში მათი გაკონტროლების კუთხით ან წყვილებში მუშაობის თუ ჯგუფური სამუშაოსთვის. მკვლევარს გაუმართლა იმ თვალსაზრისით, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფში მხოლოდ 15 სტუდენტი იყო. გაცილებით რთული იქნებოდა ექსპერიმენტის ჩატარება ჯგუფში რომ 20 ან მეტი სტუდენტი ყოფილიტო. ექსპერიმენტის მიმდინარეობის პროცესში, დავაფიქსირეთ, რომ სტუდენტების სიმორცხვე, როგორც წინაღობა საუბრის უნარისთვის, შეიცვალა და მათი წერის მანერა დადებითისკენ სწრაფად შეიცვალა. ისინი აღარ მორცხვობდნენ გამოეხატათ ის რაც ფიქრობდნენ და შეეძლოთ დაეწერათ კარგად ორგანიზებული წინადადებები და პარაგრაფები მოკლე დროში. სტუდენტები მეგობრობდნენ და აწყობდნენ სოციალურ აქტივობებს სკოლის გარეთ და იწვევდნენ ლექტორებს. ეს ხელს უწყობდა სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის თბილი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

4.4. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ ენაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები ჩართული უნდა იყოს კურიკულუმში ენის შემსწავლელთა უნარების გასაუმჯობესებლად, მათი თვით-შეფასების, თვით-დაჯერებულობისა და საკუთარი ძალებისადმი ნდობის ასამაღლებლად, სწავლის ტემპის გასაზრდელად და ენის შესწავლის შედეგების გასაძლიერებლად. თუმცა, ამ შედეგების მისაღწევად ენაზე ორიენტირებული კლასგარესე მუშაობის ორგანიზატორებმა უნდა იცოდნენ თუ რომელი აქტივობები, ვისთვის, როდის და რამდენი ხნის განმავლობაში გამოეყენონ.

ეს აქტივობები სასარგებლოა ინგლისურის როგორც უცხოური ან მეორე ენის მასწავლებლებისთვის, რომლებიც ჩივიან სკოლის პროგრამებში დროის უკმარისობის გამო. სტუდენტები სწავლობენ, თუკი დაინტერესებული არიან და ინტერესის გაღვივება კი შესაძლებელია ამაღელვებელი კლასგარეშე აქტივობების მეშვეობით. ექსპერიმენტის ფარგლებში გამოყენებული იქნა 10 ტიპის კლასგარესე აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს ენის უკეთეს შეთვისებას, თუმცა შესაძლებელია აქტივობების რაოდენობის გაზრდა.

როგორც მარში (Marsh, 2002, გვ. 553) აღნიშნავს, „კლასგარეშე აქტივობები გამოიწვევენ საგანმანათლებლო წინსვლას და დაეხმარება სტუდენტებს გამოცდებში უკეთესი ქულების მიღებაში“. გერბერი (Gerber, 1996) კი მიუთითებს, რომ ამ აქტივობების მეშვეობით სტუდენტები მაღალ ქულებს იღებენ ტესტებში. მე სრულიად ვეთანხმები მათ, რადგანაც კვლევამ აჩვენა, რომ ექსპერიმეტული ჯგუფის სტუდენტებმა უკეთესი შედეგი აჩვენეს პოსტ-ტესტში, ვიდრე საკონროლო ჯგუფის სტუდენტებმა და მათი ენობრივი უნარ-ჩვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა პრე-ტესტთან შედარებით.

პრე-ტესტის, ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული და პოსტ-ტესტის შედეგები ნაჩვენებია ცხრილებშ. მოცემული შედეგების გრაფიკებად გარდაქმნის შედეგად ჩანს, რომ იშიკის უნივერსიტეტეის სულეიმანის ფილიალის სტუდენტებმა აჩვენეს უკეთესი შედეგები საერთო აკადემიური მოსწრების (GPA) მიხედვით. გრაფიკი 1 წარმოგიდგენთ ამ მონაცემებს:

დასკვნა

მონაცემთა ინტერპრეტაციის, სამეცნიერო ლიტერატურისა და ექსპერიმენტული კვლევის შედეგების, და თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა ჩამოაყალიბა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- ✓ ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების დანერგვა მნიშვნელოვანია უცხოური ენის სწავლის პროცესში. კვლევაში აღწერილ კონტექსში მცხოვრები სტუდენტები აკადემიურ პროცესში ერთვებიან გვიან

დეკემბერში და მას ასრულებენ ივნისის პირველ კვირაში; საკმაოდ შეზღუდული დროის პერიოდში მასწავლებლებსა და სტუდენტებს უხდებათ დიდი მოცულობის მასალის დაძლევა. ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები კი სტუდენტებსა და მასწავლებლებს ეხმარება აკადემიურ პროცესში.

- ✓ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელია, ახალი მიდგომებისა და ტექნიკის დანერგვა, რათა სტუდენტებმა მოახერხონ ინგლისური ენის მოკლე ვადებში შესწავლა. ამის საჭიროება კიდე უფრო მწვავედ დგას ერაყში, სადაც განათლება ეფუძნება ფორმალურ კურიკულუმსა და დიდი მოცულობის ინფორმაციის ზეპირსიტყვიერი მეთოდით დამახსოვრების მიდგომას. ასევე, ეს აუცილებლობა განპირობებულია ადგილობრივი მოსახლეობის სპეციფიკითაც; საკმაოდ ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც უცხოური ენის შესწავლა ტელევიზიის ყურებითა და კომპიუტერული თამაშებით შეუძლიათ. ასევე აუცილებელია ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირება, რადგან ხანგრძლივი დასვენებების გამო სტუდენტებს სწავლისათვის მცირე დრო რჩებათ.
- ✓ ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინგლისური ენის სწავლა-სწავლებაში. ერთი მხრივ, კლასგარეშე აქტივობების მეშვეობით ინგლისური ენის შესწავლას სჭირდება ორგანიზებული სასწავლო გეგმა და აკადემიური პროცესი აუცილებლად უნდა დაიგეგმოს აკადემიური წლის დაწყებამდე; აუცილებელია აქტივობებისა და ცალკეული კურსების სილაბუსების შეჯერება.
- ✓ მოსამზადებელი სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემული ენის სწავლების ტრადიციული მიდგომები გარკვეულწილად ეფექტურია, მაგრამ ისინი უმეტესად მასწავლებელზე ორიენტირებულია, რაც თანამედროვე პედაგოგიკის მიხედვით მიუღებელია. სტუდენტები ენას სწავლობენ ფორმალურ კონტექსტში, რაც ხშირად ხელს უწყობს მათ დემოტივირებას. შესაბამისად, ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები სტუდენტებისათვის უდაოდ დიდი მოტივატორია, რადგან მათი მეშვეობით

სტუდენტები იოლად ამყარებენ კომუნიკაციას თანატოლებთან და მასწავლებლებთან და შესაბამისად იზრდება მათი თავდაჯერებულობის ხარისხი.

- ✓ კვლევაში ფორმულირებული ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების კურიკულუმში ინტეგრირება სტუდენტებს ეხმარება უკეთესი სწავლის შედეგების მიღწევაში. ექსპერიმენტის მეშვეობით მოპოვებულმა რაოდენობრივმა მონაცემებმა დაადასტურა ჰიპოთეზა, და შესაბამისად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ კლასგარეშე აქტივობები აუმჯობესებს სტუდენტების ენობრივ უნარებს, განსაკუთრებით კი წერისა და საუბრის უნარებს. საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების აკადემიური მოსწრება 36.8 ქულიდან შუალედურ ტესტირებისას გაიზარდა 71.68-მდე და 74.52 ქულამდე პოსტ-ტესტში. ექსპერიმენტულ ჯგუფში კი სტუდენტების აკადემიური მოსწრება პრე-ტესტის 36.2 ქულიდან გაიზარდა 81.73 ქულამდე პოსტ-ტესტში. აქედან გამომდინარე, ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების გამოყენება ეფექტურია და აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას.
- ✓ მეორე და მესამე ჰიპოთეზის მიხედვით, ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები ზრდის ენის შემსწავლელის თავდაჯერებულობას და საკუთარი თავის მიმართ რწმენასა და სტუდენტების მოტივაციას, ისწავლონ მეტი. ამ ტიპის აქტივობებში ჩართულობა სტუდნტებს აძლევს ენის მეტ პრაქტიკას და ეხმარება სტუდენტს ბუნებრივ კონტექსტში გამოიყენოს ენა. ინტერვიუდან მიღებულმა თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ორივე ჯგუფი (მასწავლებლები და სტუდენტები) მზად არიან ჩართონ კლასგარეშე აქტივობებში. პოსტ-ექსპერიმენტული ინტერვიუს 6-მა მონაწილემ გამოხატა აქტივობებისა და მათი გამოყენების მიმართ კმაყოფილება. ენის შესწავლაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობები:
    - უვითარებს სტუდენტებს კითხვის ჩვევას
    - ზრდის სტუდენტთა მოტივაციას

- წაახალისებს სტუდენტებს გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი დამოუკიდებლად მეცადინეობის პროცესში
- ქმნის სტრესისაგან თავისუფალ გარემოს, სადაც ენის შემსწავლელი თანატოლებთან ერთად სწავლის უნარს ივითარებს
- სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად შეამოწმონ საკუთარი ენობრივი კომპეტენცია

კვლევის საფუძველზე მკვლევარი ურჩევს კურიკულუმის შემუშავებაზე მომუშავე პროფესიონალებს, მოსამზადებელი სკოლის დირექტორებსა და ცალკეული ენობრივი დონის კოორდინატორებს, რომ იფიქრონ ენის შესწავლაზე ორიენტირებულ კლასგარეშე აქტივობებზე და დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომელიც მოიცავს სტუდენტისათვის საინტერესო აქტივობებს. ენის შესწავლის მიმართ მკვლევარს გააჩნია შემდეგი დამოკიდებულება: ენის შესწავლა ინდივიდუალური პროცესია, მაგრამ კარგად დაგეგმილი პროცესი და მოტივაციის ტექნიკა სტუდენტებს უადვილებს სწავლის პროცესსა და მიმზიდველს ხდის მათთვის.

სამომავლოდ, აუცილებელია კვლევის არეალის გაფართოება უფრო სანდო და ვალიდური მონაცემებისა და შედეგების მისაღწევად. კვლევაში სტუდენტებისა და სტკოლების მეტი ჩართულობა და ექსპერიმენტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა უზრუნველყოფს ზუსტი და ობიექტური მონახმების შეგროვებას; ასევე აუცილებელია სტუდენტების მეტი ჩართულობა კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

დისერტაციის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია შემდეგ პუბლიკაციებში:

Tosun, M. & Yildiz, Y. (2015). Extracurricular activities as warm-ups in language teaching. *International Journal of Social Sciences & Educational Studies, 2* (1), 62-64.

Yildiz, Y. (2015). Better education at Ishik University Preparatory School with extracurricular activities. *Advances in Language and Literary Studies, 6* (4), 158-161.

Yildiz, Y. (2015). The key to success in English learning can be involvement in extra curricular. *International Journal of Thesis Projects and Dissertations, 3* (3), 24-28.

Yildiz, Y. (2015). Time Spent in Target Language-Oriented Extracurricular Activities and Foreign Language Students' Satisfaction. *ICELT 5th International Research Conference* (p. 478-482). Tbilisi: International Black Sea University.

Yildiz, Y. (2016). The Impact of Language-Oriented Extracurricular Activities on Academic Achievement in Language Preparation Schools. *Journal of Education in Black Sea Region,* 1(2), 161-171.